საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გიორგი ღმერთშემოსილი

გიორგი ღმერთშემოსილი (გ. 1068), სასულიერო მოღვაწე, ასკეტი, დაყუდებულად წოდებული. მოღვაწეობდა შავ მთაზე. თავშესაფარი იპოვა „მიუვალი მთის ნაპრალებში", რის გამოც შეყენებულსაც უწოდებენ.

მას საქართველოდან წასული გიორგი მთაწმიდელი დაემოწაფა, რ-იც გ. ღ-მა სამი წელი მონასტერში დაამკვიდრა, შემდეგ „სქემით აკურთხა და ამით სრულყო მონაზნობა მისი". გ. ღ-ის კურთხევით და შეგონებით გიორგი მთაწმიდელი ათონზე გაემგზავრა და გააგრძელა ექვთიმე მთაწმიდელის დაწყებული საქმე.

გ. ღ-მა დიდი წვლილი შეიტანა ქართ. სას. მწერლობის განვითარებაში. გ. ღ. ქართ. ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად, მისი ხსენების დღეა 3 (16) ივლისი.

თ. მარგველაშვილი